ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„



განთიადი

90-ე წელი თქვენთან ერთად!

2021 წელი 29 ივლისი № 7 № 8170

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

## რა გაკეთდა წლიდან წლამდე

### ცადაგი დღეების კვალდაკვალ













## კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით,, დაგეგმილი პროექტები გვ2.

გვ2. ქვემო ჭალაში

სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია გვ2.

გვ2. წინარეხში

სარწყავი არხის გაწმენდა გვ2.

მხოლოდ ფაქტები გვ3-4.



გვ2. გურამიშვილის ქუჩის მოასფალტება

გვ7. სად არიან ძველი ჩემპიონები?

საბავშვო ბაღები, ჩვენ და ... ,,კოვიდი,, გვ6.

გვ8. “მე მიყვარს თბილისი”

გვ8. შავიზღვისპირული ,,გრანპრი,,

ჩოხოსანი, მუსიკოს-შემსრულებელი, ოსტატი გვ5.

გვ8. ტრადიციული თანამშრომლობა

გამოიწერეთ“ ახალი განთიადი” გახდით ჩვენი მკითხველი!

## შეხვედრა მერიაში



კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში კასპის პროფესიული კოლეჯის ხელმძღვანელებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

პროფესიულმა კოლეჯმა საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია გამოაცხადა, რომელიც 12 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით გაგრძელდა.

მერის წარმომადგენლებმა მიიღეს სრული ინფორმაცია კოლეჯის 8 პროგრამის შესახებ: ელექტროობა, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, ვიზაჟის მომსახურება, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, იატაკისა და ფილის სამუშაოები, სამღებრო სამუშაოების შესრულება, სამკერვალო წარმოება და შედუღება.

კოლეჯის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ახალგაზრდების პროფესიებით დაინტერესების მიზნით, მერის წარმომადგენლებს გადაეცათ საინფორმაციო ბუკლეტები.



## ტამიში - 28 წელი

დაბა ტამიშთან გამართული ბრძოლიდან 28 წელი გავიდა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელებმა, კასპელმა ვეტერანებმა ტამიშთან ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების ხსოვნას პატივი მიაგეს. დაღუპული მებრძოლები გმირთა მემორიალთან გაიხსენეს.

მემორიალი ყვავილებით შეამკეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

აფხაზეთის ომის დროს ბევრი მძიმე ეპიზოდი იყო, მაგრამ ერთ-ერთი უმძიმესი ტამიშთან გამართული ბრძოლა გამოდგა.

დუშეთის ბატალიონი, მხედრიონი, “ავაზა”, შავნაბადას ბატალიონი ტამიშის დესანტის მოსაგერიებლად სამთავრობო შენაერთებთან ერთად იბრძოდნენ, 10-მდე უმძიმესი, სისხლისმღვრელი დღე გადაიტანეს.

- უნდა გვახსოვდეს, რამდენად მძიმეა ომის შედეგები, საქართველოს უახლოეს წარსულში როგორ იბრძოდნენ ჩვენი გმირები ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ... ჩვენი ვალია მუდმივად გვახსოვდეს და პატივს ვცემდეთ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

# კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით,, დაგეგმილი პროექტები

## ზემო ხანდაკში

სოფელ ზემო ხანდაკში, სოფლის ცენტრალური გზის გასწვრივ რ/ბეტონის სანიაღვრე არხი მოეწყო. სამუშაოების ღირებულება 31 628 ლარია, რომელსაც შპს "მშენებლობა 2020" ახორციელებს.



## მიქელწყაროში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელწყაროში საუბნო გზის სავალი ნაწილი მოიხრეშა. გზა მოსწორდა და დაიტკეპნა.

გზის სამუშაოები "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში ი/მეწარმე დავით კოშაძემ შეასრულა.

## წინარეხში

### სარწყავი არხის გაწმენდა

სოფელ წინარეხში სარწყავი არხის დამეწყრილი ტერიტორია გაიწმინდა და აღდგა.

არხის წმენდითი სამუშაოები შპს "მშენებელი 2019"-მა ჩაატარა. პროექტი "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განხორციელდა - აღნიშნა ესტატე აბულაძემ, მერის წარმომადგენელმა წინარეხის ადმინისტრაციულ ერთეულში.



## ქვემო ჭალაში

### სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალაში, სოფლის ცენტრში მდებარე სანიაღვრე არხის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ დაათვალიერა.

არხის გაწმენდის შემდეგ მოეწყო რკინა-ბეტონის ანაკრები ღარები, გადაიხურა რკინა-ბეტონის ცხაურებით, ასევე მოსწორდა და მობეტონდა არხის გვერდითი ადგილები. "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში სამუშაოები შპს "საქართველოს ჯგუფმა" განახორციელა.

## გურამიშვილის ქუჩის მოასფალტება

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და მისმა მოადგილემ დავით ქისიშვილმა ქალაქში გურამიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები დაათვალიერეს. გურამიშვილის ქუჩის ერთ მონაკვეთზე, წინამოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, ასფალტის პირველი ფენა დაიგო.

მჭიდროდ დასახლებულ ქუჩაზე განთავსებულია ქალაქის №1 საბავშვო ბაღი, სპორტული მოედანი მცირე სკვერით, გიორგი მერებაშვილის (გორკა) სახელობის ღია საჭიდაო არენა, სადაც ყოველწლიურად ტარდება მისი სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოასფალტდება ყაზბეგის, წერეთლის, წულუკიძის და შარიფაშვილის ქუჩები.

ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ამიტომ ბიუჯეტიდან გამომდინარე მაქსიმალურად ვცდილობთ მოსახლეობას კეთილმოწყობილი ქუჩებით გადაადგილების პირობები შევუქმნათ - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.



**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

## რა გაკეთდა წლიდან წლამდე

# სადაგი დროების მხარდამხარ

2018 წელს კასპის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ბევრი მაღალბიუჯეტიანი პროექტი განხორციელდა:

მოასფალტდა სოფელ სამთავისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის საკათედრო ტაძრის მიმდებარე სავალი გზა 1500 მეტრზე. სამუშაოს ღირებულება 602 876 ლარი; გზის კეთილმოწყობა მნიშვნელოვანია, რადგან ტაძარს, რომელიც სამთავისი-კასპის ეპარქიის ადგილსამყოფელია, მრავალი ტურისტი სტუმრობს.













მოასფალტდა სოფელ წინარეხის მისასვლელი გზა 4 500 მეტრზე. ღირებულება 3 532 000 ლარი. აღნიშნული გზით ადგილობრივი მოსახლეობის გარდა სარგებლობენ მდინარე კავთურის ხეობის და ქვათახევის ტაძრისკენ მიმავალი ტურისტები.

მოასფალტდა გამყოფი ხაზისპირა მაღალმთიანი სოფლების საკორინთლო-ახალშენას მისასვლელი გზა 2 466 მეტრზე, ღირებულება 1 566 000 ლარი. გზის სამუშაოების პარალელურად ამოიცვალა სასმელი წყლის მაგისტრალი, რომელზეც 200 000 ლარი დაიხარჯა.

მოასფალტდა სოფელ ქვემო ხანდაკში მისასვლელი გზა, რომლის ღირებულება 1 408 041 ლარია. გაუვალი და ამორტიზებული გზა ახლა კომფორტულია და საფრთხის შემცველი აღარაა.

ქალაქ კასპში: მოასფალტდა ეფრემ მეორის სახელობის ქუჩა 189 მეტრზე, ღირებულება 255 743 ლარი. ასევე თაყაიშვილის, ჭონქაძის წრიული და თაყაიშვილის 1 ჩიხი 817 მეტრზე 365 973 ლარის ღირებულებით.

კასპში მოასფალტდა ჩოლოყაშვილის ქუჩა 737 მეტრზე, რომელზეც 510 905 ლარი დაიხარჯა.

საკანალიზაციო სისტემა

ქალაქის 6 ქუჩაზე, 1800 მეტრზე მოეწყო საკანალიზაციო სისტემა და დაიხარჯა 534 458 ლარი.

გარეგანათება

დასასრული გვ-9.

# მხოლოდ ფაქტები

პოლიტიკური სპექტრის სიჭრელის ფონზე ყველაზე მეტყველი — ჩატარებული სამუშაო, ფაქტობრივი მასალა, დადებული შედეგი, თვალით დანახული რეალობა გახლავთ. მოახლოვდა არჩევნები და სანამ გამართლდება ჭორ-მართალი, თუ ვინ იქნება ადგილობრივი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრი ან თავკაცი, ვის ინტელექტს, პატიოსნებას, კაცურ-კაცობას, მამულიშვილობას, ღირსებას მისცემს ხმას ხალხი, ბუნებრივია, გვაინტერესებს, რა გაკეთდა ჩვენს მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში.

ჩვენი გაზეთი არ ღალატობს ტრადიციას — მხოლოდ ფაქტები, შედეგს თავად განსჯის მკითხველი, მკითხველი, რომლის არჩევანი, როგორც ყოველთვის, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ცხოვრებისათვის, ჩვენი შვილების მომავლისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის.

“ახალი განთიადის” კითხვებს პასუხობს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე.

**- 2020 წელი უჩვეულო და ურთულესი აღმოჩნდა, ვიყავით იზოლაციაში, უსასრულო მოლოდინში, რომ ცხოვრება გამოსწორდებოდა. ახლა ისევ მოლოდინის რეჟიმში ვცხოვრობთ, კოვიდი არ გვანებებს თავს. როგორ შეაფასებდით კასპის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სამუშაოებს?**

- როგორც ყოველთვის, 2020 წელს მერია ორიენტირებული იყო ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, კერძოდ: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი კვლავ ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა (გზები, სკვერები, სპორტული მოედნები და სხვ.), მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, წყალმომარაგება, სკოლამდელი აღზრდა და სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა იყო.

მსოფლიოში გავრცელებულმა - ,,კოვიდ-19,,-მა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ყველა სფეროზე. მიუხედავად ამისა, ინფრასტრუქტურული პროექტები არ გაჩერებულა და ყველა დროულად დასრულდა, გარდა გარდამავალი პროექტებისა, რომელთა დასრულების ვადაც 2021 წელია.

**- ბატონო ვახტანგ, დაგვეთანხმებით, ყველა დროს თავისი პრიორიტეტული საქმე აქვს. კასპში ინტენსიურად მოასფალტდა ქუჩები. გზების კეთილმოწყობის პროექტებზე რას გვეტყვით?**

- 2020 წელს კასპის მუნიციპალიტეტში მოასფალტდა 13 157 176 ლარის ღირებულების 18 473 კმ. გაგაცნობთ მაღალბიუჯეტიანი პროექტების ჩამონათვალს: ყარაფილა - სარიბარი — ზადიანთკარი, სოფელ ჩანგილარის, ბარნაბიანთკარის და თელადგორთან მისასვლელი გზები, სოფელ ვაკე-პანტიანის და ქვემო ჭალასთან დამაკავშირებელი გზა, თეზის გზის დარჩენილი მონაკვეთი, კასპში კელაპტრიშვილის და კოსტავას ქუჩის ე.წ. “რუკების გზა”.

2021 წლის საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებია: სოფელ თვალადის, ბოჟამის და ხვითის მისასვლელი გზები, კასპში შარიფაშვილის, ყაზბეგის, წერეთლის, გურამიშვილის, წულუკიძის, ლესელიძის, ჯორჯიაშვილის, სამების, მეტეხის, ქვათახევის, გაბაშვილის ქუჩები. ასევე კასპში დაიწყო მრავალსართულიანი ბინების კვარტალური ეზოების მოასფალტება, დასრულდება კასპში ფარნავაზის ქუჩის სრული რეაბილიტაცია. რკინაბეტონის საფარით მოეწყობა სამთავისის და ხეთაგუროვის ქუჩები.

ჩობალაურსა და ზემო რენეში დასრულდა გზების მოასფალტება, გაგრძელდება ნიგოზასა და ქვემო რენეში. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოასფალტდა ბორტა-ნიაბის გზა.

**- ნებისმიერ პოლიტიკურ ამინდში წყალმომარაგება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხია. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?**

- მოსახლეობის წყალმომარაგებაში ჯერ კიდევ პრობლემებია. ამიტომ მუნიციპალიტეტის მერია მაქსიმალურად ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოსახლის მდგომარეობა გააუმჯობესოს.

გასულ წელს სასმელი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა სოფლებში: ფერმა-ჩანგილარი, ოკამი, თელადგორი, ხოვლე, გამდლისწყარო, მთიულთუბანი, თეძმისხევი, დოესი, მიქელწყარო, ხიდისყური, საქადაგიანო, აღაიანი.

სულ სასმელი წყლის პროექტებზე გასულ წელს დაიხარჯა 7 606 927 ლარი.

2021 წელს დასრულდა სამუშაოები სოფელ მიქელწყაროში, უახლოეს დღეებში დასრულდება (გარდამავალი პროექტი 2020-2021 წწ) სამუშაოები სოფელ აღაიანში.

უახლოეს ხანში დაიწყება ბარნაბიანთკარის და თვალადის სასმელი წყლის სისტემის სამუშაოები.

2020 წელს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ გამოაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისყურისა და საქადაგიანოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები. პროექტირება დასრულდა, ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები, რომლის ღირებულება 2,686,662 ლარია.

მალე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია კასპში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას დაიწყებს. ქალაქ კასპში, კოსტავას ქუჩაზე, წყალმომარაგება-წყალარინების ამორტიზებული ქსელის, ლესელიძის ქუჩისა და მისი მიმდებარე უბნების წყალმომარაგების რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია, მთლიანი ღირებულება 794 000 ლარია. სამუშაოები დაწყებულია სოფელ მრგვალი ჭალიდან და 1 500 გრძივ მეტრზე მოეწყობა ახალი ქსელი. ასევე, 5 ჭაბურღილი ემატება კასპში ე.წ. “შიოს წყალსაქაჩს” - ორივე სამუშაო გააუმჯობესებს კასპის მოსახლეობის წყალმომარაგებას.

**- ახალი დრო თავად გვკარნახობს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების აუცილებლობას, რამდენი სოფელია დარჩენილი გაზიფიცირების გარეშე?**

- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში “გაზი ყველა სოფელს” მუნიციპალიტეტის 72 სოფლიდან მხოლოდ 8 სოფელია დარჩენილი გაზიფიცირების გარეშე. მოსახლეობის გამრიცხველიანება მიმდინარეობს სოფელ ზემო ხანდაკში, კალოუბანში და ხოვლეში. მხოლოდ სოფელ ხოვლის გაზიფიცირება 1 083 888 ლარის ღირებულებისაა.

**- საბაზრო ეკონომიკის პირობებში სხვა ფასი ედება საკუთარ მიწაზე მოყვანილ პროდუქტს, ეს კი მელიორაციის ახლებურ მუშაობასაც გულისხმობს ...**

- გასულ წელს 850 775 ლარის სამუშაოები ჩატარდა სამელიორაციო სისტემების და ქსელების აღსადგენად თეზი-ოკამის სარწყავი სისტემის და იდლეთის მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია-აღჭურვაზე. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ამ სფეროში ჩადებული შრომა დროში გავრცობილ შედეგს გულისხმობს.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მელიორაციაში. გაიწმინდა თეზი-ოკამის, დოეს-გრაკლის და სიონის მაგისტრალური, დოესის, თელიანის, სასირეთის არხები.

სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა კავთისხევის №1 და №2 სატუმბ სადგურებს. თეძამის №1 სატუმბ სადგურზე დაიდგა ახალი ტუმბო აგრეგატი, დამონტაჟდება ასევე ახალი 250 - კილოვატიანი ძრავი, რომელიც წყლის რაოდენობას გაზრდის დოეს-გრაკლის მაგისტრალურ არხში.

შეკეთდა სასირეთი-ზემო ხანდაკის სატუმბი სადგური, რომელიც გვალვის პერიოდში დამატებით აწვდის სარწყავ წყალს სიონის, მეტეხის, თელიანის, სასირეთის და დოესის არხებს.

ნადარბაზევის ტბიდან სარწყავი სისტემის განახლება კოდისწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების ფართობებსაც გაასარწყავებს.

**კოვიდის გამოჩენამდეც ჯანდაცვა და სოციალური პროგრამები მოსახლეობის განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო. შარშან რამდენმა ადამიანმა ისარგებლა ჯანდაცვის პროგრამით?**

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა მუნიციპალიტეტის 2 417 მოქალაქემ. მათ შორის: შშმ პირების და ომის ვეტერანთა პირველი ჯგუფის ინვალიდების რეაბილიტაცია - აბილიტაციის პროგრამით ისარგებლა 52 მოქალაქემ, 32 დასახელების პროგრამაზე 2020 წელს 800 887 ლარი დაიხარჯა.

მიმდინარე 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 33 სახის პროგრამაზე 995 000 ლარია გამოყოფილი. აღნიშნული თანხიდან 6 თვეში 678 250 ლარია დახარჯული. საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაში თანხა იზრდება, რათა არც ერთი მოქალაქე დახმარების გარეშე არ დარჩეს.

**- ბატონო ვახტანგ, არის პროექტები, რომელთა განხორციელება დიდი ხნის შემდეგაც ვერ დაკარგავს მნიშვნელობას, მაგალითად კასპის პირველი საჯარო სკოლის გამორჩეულად წარმატებული პროექტი. სასკოლო ინფრასტრუქტურის მიმდინარე სამუშაოებზე რას გვეტყვით?**

- 2020 წელს აშენდა 3 ახალი საჯარო სკოლა: სოფელ კოდისწყაროში, წინარეხსა და ხოვლეში. სკოლების განვითარების ფონდის დაფინანსებით მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლაში მოეწყო სველი წერტილები, პანდუსი, შემოიღობა ეზოები. გათბობის სისტემა მოეწყო მეტეხის №2 (სადგურის დასახლება) საჯარო სკოლაში.

სულ სკოლებზე დაიხარჯა 8 848 327 ლარი.

გასულ წელს დაიწყო და წელს დასრულდა 150 მოსწავლეზე გათვლილი ახალი საჯარო სკოლა სოფელ ქვემო გომში. ცენტრალური გათბობა კეთდება სასირეთის სკოლაში.

**- აქვე უნდა ვისაუბროთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე.**

დასასრული გვ-4.



# მხოლოდ ფაქტები

დასასრული.

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის გასულ წელს 2 171 553 ლარის ღირებულების სამუშაოები შესრულდა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ოკმის და ალაიანის საბავშვო ბაღებს. ახალქალაქის საბავშვო ბაღში მოეწყო გათბობის სისტემა. იქ, სადაც ბუნებრივი აირია შეყვანილი, ცენტრალური გათბობის მონტაჟი განხორციელდება.

მიმდინარეობს სოფელ ზემო რენესა და ქვემო ჭალის საბავშვო ბაღების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.

2020 წელს დაიწყო და წელს დასრულდა სოფელ იგოეთის და გრაკლის საბავშვო ბაღები, დასრულების პროცესშია სადგურ მეტეხის საბავშვო ბაღის მშენებლობა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფელ ზემო ხანდაკის საბავშვო ბაღს. დოესის საბავშვო ბაღი გარემონტდა და დამონტაჟდა გათბობა. ხელისუფლების მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვებს აღზრდის საუკეთესო პირობები შევუქმნათ, ამიტომ სამუშაოები გაგრძელდება, ვიდრე ყველა დაწესებულებაში სტანდარტს დაქვემდებარებული პირობები არ იქნება.

**- პანდემიამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებს, როგორია შარშანდელი სტატისტიკა?**

- 2020 წელს განათლების, კულტურისა და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე 8 354 225 ლარის სამუშაოები შესრულდა.

ქალაქში ორი უმნიშვნელოვანესი პროექტი დასრულდა. 200 სტუდენტისთვის აშენდა სამსართულიანი, სრულად ადაპტირებული პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ახალგაზრდებს პროფესიის შერჩევასა და შესწავლაში დაეხმარება. დასრულების პროცესშია პრაქტიკისათვის სასწავლო სახელოსნოების სამუშაოები.

აშენდა რეგიონალური ინოვაციების ცენტრი - ტექნოპარკი, სადაც ახალგაზრდები თანამედროვე ტექნოლოგიებს დაეუფლებიან.

კასპის სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 19 საკლასო ოთახს. 355 მოსწავლე (სახელოვნებო ჯგუფის ჩათვლით) და 18 პედაგოგი წელს სასწავლო პროცესს კეთილმოწყობილ სკოლაში გააგრძელებს.

სოფელ სასირეთში პირვანდელი სახით აღდგენილია ქართველი გენერლის, გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმის სახურავი და აივანი.

ქალაქ კასპში 480-ადგილიანი ტრიბუნით აღდგა საფეხბურთო სტადიონი და რეაბილიტირდა საფეხბურთო სკოლის შენობა. საფეხბურთო გუნდი, ახლა "კასპი -1936"-ის სახელით გამოდის; კიდევ ერთი გუნდი "გენერალი" კი წლებია წარმატებებს აღწევს.

სოფელ მეტეხში აღვადგინეთ სასოფლო ბიბლიოთეკა.

ტარიელ შარიფაშვილის სახელობითი სტიპენდია 2 სასწავლო სემესტრის განმავლობაში დაენიშნა 16 მაღალქულიან წარჩინებულ სტუდენტს. წარმატებული სტუდენტები მიმდინარე წელსაც დავაფინანსეთ.

2021 წელს სოფელ სასირეთში მოეწყობა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სკვერი, ასევე სოფელ ხოვლესა და კასპში მიკრორაიონის დასახლებაში. სპორტული მოედნები მოეწყობა სოფელ ზემო ხანდაკში, ალაიანსა და დოესში.

მუნიციპალიტეტში განთავსდება 10 კომპლექტი გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები. 8 კომპლექტზე გამოცხადებულია ტენდერი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2 უკვე კეთდება.

**- ბატონო ვახტანგ, ორგანიზაცია "ზრდას" პროექტმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, სულ რამდენი პროექტი დაფინანსდა?**

- მუნიციპალიტეტში სამ ფაზად ჩატარდა ორგანიზაცია "ზრდა"-ს პროექტის "გახდი ახალგაზრდა მეწარმე"-ს ტრენინგები. გამოცხადებულ სამ კონკურსში 14 ბიზნეს-პროექტი დაფინანსდა.

ოთხმა კასპელმა ახალგაზრდამ ჯამში 34 525 ლარის გრანტი მოიპოვა. ახალგაზრდებმა შექმნეს საკუთარი ბიზნესი სამუშაო ადგილებით.

მუნიციპალიტეტში ბევრი პროექტი დაფინანსდა სახელმწიფო პროგრამების "აწარმოე საქართველო"-ს და "დანერგე მომავალი"-ს ფარგლებში.

ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ყურადღებას და დახმარებას არ მოვაკლებთ მოქმედ და მომავალ ფერმერებს.

"სოფლის მხარდაჭერი"-ს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2020 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 934 000 ლარი, რომელიც თანხის ფარგლებში მოხმარდა მოსახლეობის მიერ სოფლის კრებებზე დასახელებული 79 პრიორიტეტული პრობლემის მოგვარებას.

მიმდინარე წელსაც იგივე პროგრამით 940 000 ლარის ფინანსები გადანაწილდა მოსახლეობის მოთხოვნილი პრობლემების საჭიროებებზე. ძირითადი პრობლემებია: სასოფლო გზების მოხრეშვა, გარეგანათება, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები.

მომსახურების სერვისის გაუმჯობესების მიზნით კასპში, ყოფილი სასამართლოს შენობაში სსიპ იუსტიციის სახლის კასპის საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის ღირებულება 1 380 000 ლარია და აგვისტოში დასრულდება. ყველა მოქალაქეს მიეცემა შესაძლებლობა ერთ სივრცეში მიიღოს ყველა საჭირო მომსახურება (სანოტარო, საჯარო, სამოქალაქო სერვისები).

**- ბატონო ვახტანგ, წელსაც გაგრძელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსება?**

- წლებია, რაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის მერიის თანადაფინანსებით თანხებია გამოყოფილი. 2020 წელს ამხანაგობების მოთხოვნით ბინების ინფრასტრუქტურულ საჭიროებებზე 71 884 ლარია დახარჯული. მოსახლეობა გააქტიურებულია და ცდილობს ჩვენი დაფინანსებით თავად მოაწესრიგოს საცხოვრებელი შენობების პრობლემები. ახლახან სადგურ მეტეხის დასახლებაში სახურავის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები ადგილზე მოვინახულე.

**- პანდემიის რთულ რეალობასთან ერთად გიწევთ მუშაობა, რომელ კომპონენტზე შეაჩერებდით ყურადღებას?**

- 2021 წლის 6 თვის განმავლობაში მერიის ჯანდაცვის სოციალური პროგრამით ისარგებლა 2 269 ბენეფიციარმა. სულ დაიხარჯა 678 250 ლარი.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობა, ვცდილობთ პროგრამის 33 მუხლის ფარგლებში გავუწიოთ დახმარება, რის საშუალებასაც ადგილობრივი ბიუჯეტი გვაძლევს.

წლის განმავლობაში სოციალურ-პროგრამაზე 995 000 ლარია გამოყოფილი. საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტის მოცულობას ვზრდით.

- 2020 და 2021 წლების გარკვეულ პერიოდში ყველაფერთან ერთად აქცენტი პროდუქტებით დახმარებაზე იყო გადატანილი. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სოციალური დისტანციის დაცვით 26 საბავშვო ბაღის 1600 აღსაზრდელს ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი არამალფუჭებადი პროდუქტები ურიგდებოდათ.

ქალაქში მდებარე უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ნაწილს მოხალისეები სადილს ბინაზე აწვდიდნენ, კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ სასურსათო პაკეტებით დახმარება 2000 ბენეფიციარს გაუწია, პროცესი გრძელდება.

მოსახლეობას პროდუქტებით დაეხმარა საქართველოს "წითელი ჯვრის" საზოგადოება, სს "სოკარჯორჯია", აზერბაიჯანის საელჩო, "ჰაიდელბერგცემენტის" კასპის ქარხანა, ადგილობრივი ქველმოქმედი ადამიანები.

მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებმა კორონა ვირუსის ფონდში ხელფასიდან 8 345 ლარი გადარიცხეს.

პანდემიის გამო ვერ ჩატარდა დაგეგმილი და ტრადიციული სხვადასხვა დღესასწაული, კულტურული და სპორტული ღონისძიებები. იმედია, ამ მხრივ მომავალი უკეთესი გვექნება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მერიის მიერ კასპის მუნიციპალიტეტის შესახებ მომზადდა და გამოიცა ტურისტული გზამკვლევი.

სოფელ ახალქალაქში აღდგა ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსის ციხე-გალავანი (კოშკებით), რომელიც ვიზიტორთა ინტერესს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტში რესტავრაცია ჩაუტარდა რკონის სამონასტრო კომპლექსს, გუდალეთის ეკლესიას, ნაწილობრივ სხვილოს ციხეს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გარემოს გამწვანება. მერია მეხუთე წელია ბუნებისმკვლევართა კავშირ "ორქისი"-ს დახმარებით გამწვანების აქციებს ატარებს. მარადმწვანე ხეები მუნიციპალიტეტის სკვერებში, საბავშვო ბაღებისა და სკოლების ეზოებში ირგვება. მარტის თვეში ,,ორქისის,, მიერ გადმოცემული წიწვოვანი და ფოთლოვანი ნარგავებით ჩატარდა გამწვანების აქცია. მოგეხსენებათ, კასპი ქარიანი ადგილია, შესაბამისად ქარსაცავი ზოლი აუცილებელია. კასპიდან სოფელ მეტეხისკენ მიმავალ გზაზე 200 ძირი ალვის ხე დავრგეთ. ვაპირებთ წლის ბოლომდე ამდენივე ნერგის დარგვას.

**- გასაგებია, რომ რთულია, ყველა ჩატარებული პროექტის აღნიშვნა, მაგრამ თუ შეგიძლიათ, გვითხრათ, გასულ წელს რა თანხის პროექტები განხორციელდა ჩვენს მუნიციპალიტეტში?**

- გასულ 2020 წელს კასპის მუნიციპალიტეტში სულ 45 426 354 ლარზე მეტი ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა. წლის პროექტების დაფინანსების წყარო იყო რეგიონალური განვითარების ფონდი, ადგილობრივი ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურის სააგენტო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

რაც გაკეთდა, კარგია, მაგრამ მეტია საჭირო. მოსახლეობის მოთხოვნილება იზრდება - ჩვენ კი არსებული ფინანსების ფონზე მაქსიმალურად ვეცდებით მათი საჭიროებები დავაკმაყოფილოთ. 2022 წელს დაგეგმილი ბევრი პროექტი გვაქვს და ვეცდებით ყველა განვახორციელოთ.

სახელმწიფო პროექტით - "განახლებული რეგიონების" ფარგლებში მოხდება ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობა. ასე მასშტაბურად ჯერ არ გალამაზებულა კასპის ცენტრი. იმედიანად ველოდებით პროექტის დაწყებას და გვჯერა შედეგი მოლოდინს გადააჭარბებს.

სამუშაოების მოკლე მიმოხილვაშიც, იმედია, იგრძნობა შრომის საერთო დინამიკა. ადამიანის სურვილი შესაძლებლობას რომ წინ უსწრებს, ეს ობიექტური რეალობა, ყველა სხვა დადებით თუ უარყოფით მომენტთან ერთად, უკეთესის სურვილი საზოგადოებას განვითარებისკენ უბიძგებს და შესაბამის შედეგსაც ვიღებთ. ადრე თუ გვიან ქვეყნის სამსახური სასურველ შედეგს მოგვცემს, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, რაც მალე. ღრმად ვარ დარწმუნებული, ქვეყნის გამთლიანება და გაძლიერება აუცილებელი მომავალია, ცხოვრება უკან ვერ წავა. მიმდინარე სამუშაოების ერთი თვალის გადავლებით, შეუიარაღებელი თვალითაც ვხედავთ პოზიტივს. პრობლემები კი იმიტომ არსებობს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში აუცილებლად მოვაგვაროთ.

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,, გახდით ჩვენი მკითხველი!

# ჩოხოსანი, მუსიკოს-შემსრულებელი, ოსტატი

საქართველო ოდესმე დიდი რომ იყო, აი, იმ უძველეს დროებაში ამ გვარის კაცები ყოფილან ქოსაისძენი! მე-12 საუკუნის წერილობით დოკუმენტში მოხსენიებულია ვინმე ქოსაისძე — "თამარის წყაროს" ქვით მომჩუქურთმებელი. ... ასწლეულების შემდეგაც, ქოსაშვილები აკი ხელოვნებისადმი არიან მიდრეკილი და მასში გაწაფულობით გაუთქვამთ სახელი, როგორადაც არა მარტო მშენებლობისა და მოპირკეთების, არამედ ნაირგვარი მასალით წვნის, ქსოვის, გრეხვის ხელოვანებს, ზედაც ჭიპმოჭრილ მუსიკოს-შემსრულებლებს.

ქვემოგომელი ქოსაშვილებიდან გარექვეყნად ვინც გასულა, ერთი მათგანი ავთანდილ ქოსაშვილია — ამჟამად ისრაელში მოღვაწე ფერმწერი და მუსიკოსი... შინაში დარჩენილთაგან მრავლად არიან წნულის ნაკეთობათა მიმდევრები, საქართველოში მათ შესახებ ვიღას არ მოეხსენება.

ჩვენი წერილის გმირს ეამაყება, რომ სოფელში ამ სარფიანი და შემოსავლიანი ხელობის მესათავე და მიმართულების მიმცემი ბრძანდებოდა მისი პაპა — მიხეილ (მიხო) ქოსაშვილი. ამასთან, იგი გამორჩეულობდა მუსიკალური ნიჭით, დოლზე უბადლო დაკვრით. ჰოდა, რაღა გასაკვირია, შვილიშვილიც თუ წნულების დამზადებამ დააინტერესა და ჯერაც მეექვსეკლასელმა პირადი მარჯვენით გაიჩინა დაუყვედრებელი სარჩო, თურმე უფრო დასავლეთ საქართველოდან სტუმრობდა კლიენტურა აქაურთა ნახელავის შესასყიდად.

შვილიშვილს პაპის სახელი ერქვას, მისი სეხნია იყოს და გვარის უახლეს სახლიკაცს ის საქმიანობაში არ ჩამოგავდეს — აბა, როგორ ეგების! წინაპართა მოდგმაში კეთილსაქმეთა და ხელგარჯილობის თარგად არ გამოდგებოდეს — აბა, რაღა ღირსეული მემკვიდრე იქნება! როგორღა ცხონდება მისი გვარის პაპათა და პეპერების სულები და სახელები!

ესეც, ახლავის შესახებ მოგითხრობთ, თავისი გვარის წინაპართა ანასხლეტია, საკუთარი სოფლისა და მიწა-წყლის ძველქართველთა სახელოვნებო საქმეთა შემნახველია, იმდაგვარად დახელოვნებული ოსტატი და მადლიანი საქმის კაცია, როგორებიც უწინ გვყოლია თავიანთი გაწაფულობით, მარჯვეობით, სანთიანობით, გერგილიანობით, ხელმასწარობით, უსტაბაშობით, ხელოვანებით, ხელფურჩობით...

***

შტრიხები მუსიკოს-შემსრულებლის შემოქმედებითი პორტრეტისათვის:

— მიხო (მიხეილ) ქოსაშვილი დაიბადა 1984 წლის 25 მაისს სოფელ ქვემო გომში.

— 2000 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

— მოსწავლეობისას მღეროდა რაიონის ბავშვთა ანსამბლში, იყო შეუცვლელი სოლისტი, მისი სული და გული (ხელმძღვანელი გერისო კელაპტრიშვილი).

— მუსიკალური განათლება მიიღო ქ. თბილისის შოთა მილორავას სახელობის სახელმწიფო საესტრადო სასწავლებელში. იქ მისი ხელდამსმელი პედაგოგები იყვნენ: გივი სერგია, ოთარ ბახტაძე, სულიკო კოროშინაძე...

— სამსახიობო დებიუტი შედგა მუსკომედიის თეატრში (იმავდროულად გამოდიოდა სარესტორნო სცენაზე).

— 2005 წელს სოლისტად ჩაირიცხა კასპში ახალშექმნილ ანსამბლში "მოურავი" (ხელმძღვანელი გივი ბახტაძე) და დღემდე მისი წევრია.

— 2005 წლიდან დაინიშნა კასპის რაიონის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორად.

— 2020 წლიდან არის ქ. კასპის კულტურის ცენტრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

შარშან, თითქმის წელიწადნახევრის წინ, კაცობრიობა შავ დღეში ჩააგდო საიდანღაც შემოხეტებულმა უხილავმა მტერმა, კაცობრიობას "კოვიდ–19"-ის სახელით რომ დაატყდა თავს, შინ თუ გარეთ დაუნდობელი ნადირივით დაეძგერა ადამიანთა მაჯისცემას, ჩვენში მოშალა ქართული კულტურისა და სახელოვნებო სფეროს წარმომადგენელთა შემოქმედებითი გეგმები.

პანდემვითარებამ დადაღა კასპის კულტურის სახლის კოლექტივისა და მისი ახალი თავკაცის ჩანაფიქრებიც.

პირადადაც, როგორც მუსიკოს-შემსრულებელს, მოენატრა ძველებურად დგომა "მოურავის" ჩოხოსანი მეგობრების მხარდამხარ და მძლავრი, გულის სიღრმიდან წამოსული, დაგუგუნება ეროვნული სიმღერებისა,



დაენატრულა საკონცერტო-საფესტივალო თავმოსაწონ ანსამბლურ წარმატებებს (2019 წლიდან "მოურავს" ახალი ხელმძღვანელი ჰყავს — ზურაბ ხითარიძე).

ამიტომ იყო, რომ მაძიებლური გონების წყალობით ახალ გზას დაადგა: საერთო-გუნდური სცენა, იძულებითი ნაბიჯისამებრ, ჩაანაცვლა საკუთარი ეზოკარის არენით, სადაც თვითონ არის დირექტორიც, რეჟისორიც, მსახიობიც, სოლისტიც... მუშა-მომმარაგებელიცა და შემსრულებელიც, ოღონდ, არა ეროვნულ ჩოხაში, არამედ ... ელექტროშემდუღებლის სპეცსამოსში გამოწყობილი.

ასეთ დროს, როცა აურაცხელი დამკვეთის ერთი რომელიმე, კონკრეტული, დავალება-თხოვნის შესრულებაზეა ორიენტირებული და გონებაში მოხაზული ესკიზი მის ხელში თანდათან იღებს სრულყოფილ სახეს, — ეს ჩვენი მაესტრო მიხო აუცილებლად გულში ღიღინებს, ზოგჯერაც ხმამაღლა წაუმღერებს, შიგადაშიგ კი სულაც ქართულ ჰანგებს გადაფენს თავისი ეზოს ღობის გადაღმა და მაშინ მის სახლთან გავლილმა მეზობლებმა იციან, რომ მიხო ქოსაშვილი ახალ შეკვეთას სადაცაა გაასრულებს...



ასეთ დროს თვითონ მიხოსაც ხამუშ-ხამუშ თვალწინ დაუდგება პატარა ბიჭი, ფანქარზე უზომოდ შეყვარებული, ძილ—ღვიძილში ხელიდან რომ არ იშორებდა და საკლასო ოთახის მერხების ზედაპირები გადაეჭრელებინა ნაირგვარი მანქანებით, ხეებით, ეკლესიებით... თითქოს ულიმის თავისი ორეულის ბავშვობისდროინდელ გატაცებას, მაგრამ დღეს უკვე თვითონვე გახლავთ აწ ჩამოყალიბებული თვითნასწავლი მხატვრის ამჟამინდელი



ხელქმნილი ნამუშევრების კრიტიკოსიც, შემფასებელიც, დამწუნებელიცა და მომწონებელიც, სოციალურ ქსელში — საკუთარი შემოქმედებითი ნიმუშების ფოტოამტვირთველიცა და გამზიარებელიც, რეკლამიორიცა და პიარმენეჯერიც.





ჰო, სულ პირველი ნაკეთობა? — ეს იყო, ალბათ, 2018 წელს, როცა ეზოში მოცალეობისას გააკეთა საქანელა თავისივე გოგონებისთვის. კასპის სამრეწველო საწარმოებში თითქმის 50 წელზე მეტხანს ელექტროშემდუღებლად ნამუშევარი მამისაგან განსხვავებით თვითონ ხელთ მანამდე არ დაეკავებინა ელექტროშესადუღი ელექტროდის ღერის დამჭერი. ახლა კი პირველად გამოიყენა, მაგრამ რად გინდა, ინანა, თვალები აატკივა მისმა ნათების ელვარებამ. არადა, თითქოს მოეწონა ის პირველი ნახელავი. უტრიალა, უტრიალა და... წამოეპარა უკეთესის შექმნის სურვილი. ჰოდა, დააჯერა თავი, — მე ეს შემიძლიაო!

და მან შეძლო ეს! — ამჯერად სპეციალური სადგამი გამართა და გააწყო. ისე, შესაფასებლად, განათავსა ინტერნეტში იმ პირველი ნაკეთობის ფოტო.

მალე ისიც გამოჩნდა — ქარელელი ძველთაობელი მუსიკოსი, რამაზ კურტანიძე, რომელმაც აქეთ შესთავაზა ახალი იდეა, — ჩემი ეზოსამყოფელისათვის იქნებ მუსიკალური საკრავების იმიტირებული ნიმუშები დამიმზადოთო!

ახლა მიხო ქოსაშვილის ლითონნაკეთობათა კოლექციაში ასეთია უამრავი საკრავი: ბასგიტარა, სოლოგიტარა, საქსაფონი, ჰობოი, როიალი, დასარტყამი ინსტრუმენტები...

2021 წლის საქალაქო საახალწლო ზეიმისათვის კასპის ცენტრალურ მოედანზე, სააკაძის სკვერში, გამოჩნდა ირმებისა და ფაეტონის ნიმუშები (თანაც, გაწყობილი მანათობელი ელექტროსადენებით). ოსტატი ამჯერად მათ "გაცოცხლებაზე" და საახალწლო აქსესუარების განახლებაზე ფიქრობს, კერძოდ, სურს, რომ რკინის ჩონჩხური ანაწყობი დაფაროს დეკორატიული სამოსით, რისთვისაც გამოიყენებს ქსოვილსა და ცემენტის ხსნარს.

გააჩნია უფრო შორს მიმავალი ჩანაფიქრიც: შექმნას მცირე საწარმო, სადაც ესოდენ იშვიათ საქმიანობაში გაწაფავს, შეასწავლის და დაასაქმებს დაინტერესებულ ახალგაზრდებს. მიაჩნია, რომ საამისოდ ზედგამოჭრილია ახლა საქართველოში ფართოდ გახმაურებული და მრავალმხრივ სასარგებლო პროექტი "აწარმოე საქართველოში".

ჯერჯერობით კი მხოლოდ საკუთარი ხელების იმედზე რჩება, რადგანაც არ იყენებს არანაირ ტექნიკურ საშუალებებსა და დანადგარებს. მისი კმაყოფილების ერთი მხარე, ცხადია, საკუთარი გარჯილობის ანაზღაურებაა, მაგრამ, ამასთანავე, მისთვის განუზომლად მნიშვნელოვანია ის კმაყოფილება და მადლიერება, გამოხმაურება და შეფასება, რასაც იღებს სოციალური ქსელის მეშვეობით თუ ადამიანებთან პირადი კონტაქტებით. მისეული ლითონნაკეთობებით ხალხი სადღეისოდ თავმომწონეობს თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, კასპში, ბევრ აქაურ სოფელში...

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.**

# საბავშვო ბაღები, ჩვენ და ... ,,კოვიდი,,

თითქმის წელიწადნახევარია, ცხოვრება და მუშაობა გვიხდება "კოვიდ–19"-ის პირობებში. ვუფრთხილდებით საკუთარ სიცოცხლეს და ვზრუნავთ გარშემო მყოფ ახლობელ ადამიანებზე. ის კი, უხილავი და მომაკვდინებელი ვირუსული დაავადება, კვლავაც შეზღუდვებისა და რეგულაციების დაცვას გვთხოვს. ესოდენ გართულებულ სამუშაო პირობებში თუ როგორ ართმევენ თავს ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ქალაქადა და სოფლად, ამის თაობაზე გვიამბობენ ქ. კასპის №4 და გრაკლის, დოესისა და სასირეთის საბავშვო ბაგა-ბაღების გამგეები.



✦ სოფო როინიშვილი, სოფელ დოესის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე

- დაახლოებით წელიწადნახევარია, მსოფლიო ებრძვის პანდემიას და ჯერაც არავინ იცის, საშინელი ვითარება როდემდე გასტანს.

სამთავრობო გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენთანაც გატარდა სათანადო რიგი რეგულაციებისა, რის გამო დოესის საბავშვო ბაღი თვეების განმავლობაში აღარ ფუნქციონირებდა. შეძლებისდაგვარად გადასული ვიყავით დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. ჩვენი პატარებისათვის შეიცვალა ჩვეული რიტმი, ამხანაგებთან და საყვარელ ძიძა-აღმზრდელებთან განშორება საგრძნობლად მტკივნეული იყო მათთვის.

ასეთ დროს განსაკუთრებულ ყურადღებასა და დახმარებას ვგრძნობდით საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთა მხრიდან. აღსაზრდელთა ოჯახებს რამდენჯერმე დაურიგდა მათთვის განკუთვნილი ულუფის ნორმები. ხშირი იყო ონლაინ-ჩართვები ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისა და დროულად მოგვარების მიზნით.

ჩვენს საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს სამი ჯგუფი, რომელთა აღმზრდელები არიან: მ. მიჩიტაშვილი, ლ. ბაიდაური, ლ. აბრამიშვილი. მათ ხშირი კონტაქტი ჰქონდათ მშობლებთან. სასწავლო პროცესის განახლებისთანავე გააცნეს რეგულაციები, რომ არ შეიძლებოდა შემოსვლა ბაღის დახურულ სივრცეში. დისტანციური დაცვის მოთხოვნების განხორციელებაში მთელი პერსონალი ჩაერთო... გაძლიერებული უსაფრთხოების დაცვით ჩვენი ბაღის დამამთავრებელმა ჯგუფმა მაინც შეძლო გამოსაშვები ზეიმის ჩატარება. სასკოლო ასაკის გოგობიჭებმა იმღერეს ფორტეპიანოსთან, იცეკვეს და მეტად კმაყოფილნი დაგვემშვიდობნენ. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მათი აღმზრდელების გარჯა და მონდომება დაფასდა.



✦ ქეთევან ჭალიაშვილი, სოფელ სასირეთის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე

- 2020 წლის თებერვალში, როგორც კი საქართველოში დაფიქსირდა უხილავი და ბოროტი ვირუსის არსებობა, ჯანდაცვის სამინისტრომ მთავრობასთან ერთად შეიმუშავა უსაფრთხოების წესები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება: შეწყვეტილიყო მეცადინეობა და სწავლება სკოლებსა და ბაღებში. აქედან გამომდინარე, ჩვენც გადავედით დისტანციური სწავლების რეჟიმზე.

მერე კი, როგორც მივიღეთ სათანადო ინფორმაცია მეცადინეობის პროცესის განახლების შესახებ, გავატარეთ შესაბამისი უსაფრთხოების ზომები და მოვემზადეთ ახალი სასწავლო წლისათვის: გაერთიანებამ მოგვამარაგა სადეზინფექციო საშუალებებითა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელი ყველა საჭირო ნივთით. მოვაწყეთ საიზოლაციო ოთახი, გამოვაკარით თვალსაჩინო მასალა, მოვამზადეთ სამეცადინო ოთახი, ბაღის ტერიტორიაზე უზრუნველვყავით და გავითვალისწინეთ ჯანდაცვის მიერ გაცემული მოთხოვნები. საბავშვო ბაღის პერსონალის თითოეულმა წევრმა გავითავისეთ მოსალოდნელი ყველანაირი გართულების საშიშროება და ერთმანეთის გვერდში დგომით ვიბრძვით "კოვიდ–19"-ის წინააღმდეგ. გვამშვიდებს ის, რომ პატარა აღსაზრდელებს უკვე ყოველდღიურ ჩვევაში გადაუვიდათ მათთვის გათვალისწინებული ახალი წესები: შენობაში შემოდიან მშობლების გარეშე, არ ავიწყდებათ ტემპერატურის გაზომვისა და ხელების დეზინფექცირების მოთხოვნა, უფრო მეტად იცავენ სისუფთავეს ბაღის შენობაში. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს წარიმართება აღმზრდელების მეთვალყურეობით.

სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, — ნათქვამია და ჩვენც ვფრთხილობთ კვლავ და შეუნელებლად. ძალზე კარგია, რომ ჩვენს ბაღში არც ერთი დადებითი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ვიმედოვნებთ, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის და ერთიანი ძალებით მოხერხდება "კოვიდ–19"-ის დამარცხება. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი პატარების მეხსიერებაში ეს უარყოფითი პერიოდულობა ღრმად არ დაილექოს.



ნანა კუჭაშვილი — გრაკალიშვილი, სოფელ გრაკლის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე

- ჩვენი ბაღის კოლექტივსა და თვით სასოფლო სკოლამდელი დაწესებულების შენობას საოცარი თავგადასავალი ჰქონდა არა მარტო ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, არამედ წინარე პერიოდიდან მოყოლებული, ჯერაც 2013 წლიდან.

დიახ, საქმე ის გახლავთ, რომ სოფელში არსებული ბაღი პირველად 8 წლის წინ დაიკეტა (ამ ცნების პირდაპირი გაგებით) — იგი იმდენად ავარიულ მდგომარეობაში იყო, სრულ რეკონსტრუქციასაც აღარ დაექვემდებარა.

ჩვენდა ბედადა და გასახარად, ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა, ბატონმა შოთა ჯავახიშვილმა, თავისი კეთილი გულის კარნახითა და თანასოფლელი ბავშვებისადმი დიდი სიყვარულით, თავისი კუთვნილი სახლი გადმოგვცა უსასყიდლოდ. ახლაც მსურს, სახალხოდ გავიმეორო მისი სიტყვები, რომლებიც არასდროს დამავიწყდება: — "მე ის მიხარია, რომ ჩემი სახლის ფანჯრებიდან ბავშვების ჟრიამულის ხმა გამოდის".

ასე და ამგვარად, ბატონი შოთას სახლის ჭერქვეშ ჩვენი ბაღი 3 წლის განმავლობაში აგრძელებდა მუშაობას. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ისევ ახალი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით (ისევ შენობის ავარიულობა!) და სხვა თავშესაფარი გაგვიხდა მოსაძებნი. ჰოდა, ისევ დაიკეტა ბაღი... მაგრამ იმედი ერთი წუთითაც არ დამიკარგავს, რადგან ვიცოდი, ჩემი თანამშრომლების თანადგომით ყველაფერს მოევლებოდა.

სოფელში ისევ მოვნახეთ კერძო სახლი, რომელიც ბატონ ჯემალ ტატიაშვილს აეშენებინა, მაგრამ არა იმ ყაიდაზე, ბაღს რომ გამოსდგომოდა. ისევ დავტრიალდით მე და ჩემი თანამშრომლები და გადავწყვიტეთ მისი გადაკეთება ჩვენივე ხელებითა და საკუთარი სახსრებით, ჩვენი ოჯახების

დასასრული გვ8



დალი კოტეტიშვილი, ქ. კასპის №4 ბაგა-ბაღის გამგე

კორონავირუსის პრევენციის მიზნით ჩვენთან საალმზრდელო პროცესი შეწყდა შარშანდელი ნოემბრიდან და განახლდა წლევანდელი მარტიდან. სრულიად მოულოდნელად გავხდით პანდემიის მსხვერპლი, რაც არცთუ ადვილი იყო, როგორც მშობლებისათვის, ისე ბავშვებისათვის. მათ მოუხდათ მრავალი რეგულაციის დაცვა. დათმეს მეგობრები, ბაღის გარემო, ახლობლები, მოხვდნენ ჩაკეტილ სივრცეში, რამაც ძალიან იმოქმედა ფსიქიკაზე. ამის გათვალისწინებით მთელი კოლექტივი გავერთიანდით, რათა მათთვის ეს ტვირთი შეგვემსუბუქებინა: ვაწვდიდით ინფორმაციას ვირუსთან ბრძოლის თაობაზე თამაშ-თამაშით, რაც გულისხმობდა აქტივობას "მტვრისა და საპნის ურთიერთობა", რომ ჰიგიენის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ვირუსის დასამარცხებლად. შევთავაზეთ სხვა აქტივობაც, რაც ემსახურებოდა სენსორულ განვითარებას, მასში მშობლებიც ჩაერთვნენ ბავშვებთან ერთად და დროს უფრო მხიარულად, საინტერესოდ და შემეცნებითად ატარებდნენ, გვიგზავნიდნენ ვიდეოებს და მეგობრებსაც მოუწოდებდნენ ჩართულობაში. ვუყვებოდით საინტერესო ამბებს, ვუკითხავდით პატარა მოთხრობებს — მათი წიგნიერი განვითარების მიზნით.

ბაღის გარემოში წლევანდელ 26 მაისს კოლეგებმა ჩავატარეთ ახალი აქტივობა და პატარებს მივულოცეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. შევქმენით აპლიკაცია "საქართველოს დროშა".

ასევე, მივულოცეთ და გავუხალისეთ პირველი ივნისი — მათი დღე. ჩვენი აღსაზრდელები გავიწვიეთ ღია სივრცეში. ავუხსენით, თუ როგორ და რატომ ჩნდება ცაზე ცისარტყელა. ჩავატარეთ ერთობლივი ექსპერიმენტი "ცისარტყელას ფერები".

ბავშვებთან ინტერნეტისა და მობილური ტელეფონის მეშვეობით კომუნიკაციამ მოგვცა საალმზრდელო პროცესის სწორად და თუნდაც წყვეტილად წარმართვის საშუალება. მართალია, ონლაინაქტივობები ვერ შეცვლის უშუალოდ ბაღისეული გარემოს პირობებს, მაგრამ ჩვენი მიზანი იყო, აღსაზრდელებისათვის უწყვეტად მიგვეწოდებინა საგანმანათლებლო ცოდნა, საერთო ჯამში კი შეგვემსუბუქებინა ის სიტუაცია, რაც პანდემიურ ჩაკეტილობას ახლდა.

## ცხელი ზაფხულის სპორტული ცხოვრების დღიური

**სპორტ INFO**

ქართული ჭიდაობა

20 ივნისი, სოფელი კარალეთი (გორი): ოლიმპიური ჩემპიონის, ლაშა შავდათუაშვილის, სოფელში გამართულ მისივე სახელობის ტურნირში საპატიო, მეორე ადგილის მფლობელი გახდა ვალერი მღებრიშვილი (60 კგ-ის კატეგორია, სოფ. მეტეხი, მწვრთნელი ნუგზარ მამულაშვილი).

ძიუდო

25 ივნისი, ქ. ბოლნისი: თენგიზ ნავერიანის მემორიალურ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამოსვლა კარგად აქვთ დაცდილი კასპელ ჭაბუკ მოჭიდავეებს. ნუგზარ მამულაშვილის შეგირდებმა ამჯერადაც გამოიჩინეს თავი. საერთო ჯამში მათ 7 მედალი მოიპოვეს. აი, ჩემპიონებისა და პრიზიორების ვინაობა:

პირველი ადგილი – სოსო გეჯაძე (66 კგ.) და გიორგი მუმლაძე (50); მეორე – ბექა ლაფერაშვილი (66); მესამე ადგილი – თემურ გოგრიჭიანი (34), ალეკო ხიზამბარელი (42), ლუკა ლელაშვილი და გოგიტა კორკოტაშვილი (ორივე 66).

(აღსანიშნავია, რომ ოკმელი მუმლაძისა და თელიანელი ლაფერაშვილის გარდა ყველა სოფელ მეტეხიდანაა).

ძალისმიერი სამჭიდი (წოლჭიმი)

26 ივნისი, ქ. თბილისი: საქართველოს ჩემპიონატში ბრწყინვალედ გამოვიდა კასპელი სიმონ ორბელაშვილი. საქართველოს ჩემპიონის სახელი მან პირველად 2018-ში მოიპოვა თელავში. მას შემდეგ უცვლელი ჩემპიონია. ტიტული არც წელს დათმო. თანაც, სარეკორდო წონას შეუტია. სიმონმა ქვეყნის ახალი რეკორდი დააფიქსირა – 155 კილოგრამი!

ამავე პირველობის ჩემპიონი გახდა გია მერებაშვილის მეორე შეგირდიც – გიორგი კრუპნოვი.

ჭადრაკი

29 ივნისი, ქ. კასპი: მოყვარული მოჭადრაკის შოთა ჯაბაურის (1937–2007) ხსოვნის მემორიალურმა ტრადიციულმა ტურნირმა წელს ფორმატი გაიფართოვა: გაერთიანების დირექციის მხარდაჭერითა (დირექტორი ბადრი ჯანიაშვილი) და ორგანიზატორთა მცდელობით (მენეჯერი ჯუმბერ სიდამონიძე) მან რეგიონული შეჯიბრების სტატუსი შეიძინა.

საანგარიშო ტურნირში ჩაებნენ: გორის, ხაშურის, ქარელისა და კასპის ვეტერანი და ახალგაზრდა მოჭადრაკეებით დაკომპლექტებული ნაკრები გუნდები (4–4 მოთამაშით).



საბოლოო შედეგებით მათ ადგილები სწორედ ზემომითითებული თანმიმდევრობით გაინაწილეს. მათ გადაეცათ თასები და დიპლომები. დაჯილდოვდა საუკეთესო მოთამაშეც (პირადი ქულებით).

შოთა ჯაბაურის წლევანდელი ტურნირის მთავარ მსაჯად მოწვეული ბრძანდებოდა ცნობილი მოჭადრაკე, შიდა ქართლის მხარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ციალა ქასოშვილი.

სამბო

8 ივლისი, ქ. კასპი: წინა თვეში რაიონული პირველობები ძიუდოისტებმა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა რომ გაითამაშეს, ივნისის სასპორტო გამოშვებაში უკვე ვიუწყებოდით. მათგან სასპორტო ესტაფეტა ამჯერად სამბისტებმა მიიღეს. მოასპარეზენი აქაც სამი ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით დაიყვნენ. კასპიდან და რაიონის სოფლებიდან ყველაზე უმცროსებში (2010–11 წლებში დაბადებულები) 36 მონაწილე გამოდიოდა, 2007–09-წლიანთა შორის ყველაზე მეტი – 48, ხოლო 2005–06-წლიანებში გაჯიბრდა 21 ჭაბუკი სამბისტი.

ყველა გამარჯვებული და პრიზიორი დაჯილდოვდა მედლებითა და დიპლომებით.



ძიუდო

10 ივლისი, ქ. ხაშური: ცნობილი მოჭიდავის, რამაზ ხარშილაძის მემორიალურ ტურნირში მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა ლუკა გულდედავამ (კასპელთა გუნდის სხვა წევრებმა უფრო მოკრძალებული შედეგები აჩვენეს).

კარატე–დო

11 ივლისი, ქ. ქუთაისი: ტრადიციული, სათვალავით 27-ე რესპუბლიკური ტურნირი "ღია ქუთაისის" თასზე. რიონისპირა ქალაქის პრესტიჟულ შეჯიბრებაზე თასი დაისაკუთრა კასპელმა გოგონამ – მარიამ მანძულაშვილმა (+54 კილოგრამის კატეგორია).

ფეხბურთი

15 ივლისი: საქართველოს რეგიონული ლიგის გათამაშებაში ჩაბმულმა საფეხბურთო გუნდმა "კასპი – 1936"-მა 23 ივნისიდან განვლილ დროში კიდევ რამდენიმე ტურის თამაში ჩაატარა.

დაინტერესებული გულშემატკივრებისათვის



აქვე მოგვაქვს ტექნიკური შედეგები:

ტური 10, 23 ივნისი: თბილისის "გლდანი" – "კასპი" 4:0.

ტური 11, 30 ივნისი: "კასპი" – თბილისის "მუხიანი" 2:1 (ამ გამარჯვებით გუნდი სატურნირო ცხრილში მე-4 საფეხურამდე დაწინაურდა).

ტური 12, 9 ივლისი: თბილისის "ვარკეთილი-2" – "კასპი" 5:3 (დამარცხებამ გუნდი ორი საფეხურით დააქვეითა).

ტური 13, 15 ივლისი: "კასპი" – თბილისის "ლოკომოტივი – 2". დასანანია, რომ კასპელებმა უშუალო მეტოქესთან უპრინციპულესი მატჩი დათმეს ანგარიშით 2:4. გუნდებმა უკვე გადალახეს პირველობის ეკვატორი. 13 თამაშის შედეგებით (7 მოგება, ერთი ფრე, 5 წაგება) "კასპი 1936" სატურნირო ცხრილის მერვე საფეხურზეა.

**სპორტ INFO**

ჩვენი იუბილარები

## სად არიან ძველი ჩემპიონები?



გიული ყაზარაშვილი გახლავთ საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი საერთაშორისო შაშში. მისი სასახელო წარმატებების მაუწყებელი ინფორმაციებით, წერილებითა და ფოტოებით აჭრელებული იყო გასული საუკუნის 70–80-იან წლებში საქართველოში გამომავალი ერთადერთი სასპორტო გაზეთის – "ლელოს" ფურცლები. მასზე ხშირად წერდა კასპის გაზეთიც.

შეგახსენებთ, რომ კასპელი დები ყაზარაშვილები – გიული (დაბადებულია 1961 წლის 8 ივლისს ქ. კასპში) და მისი 6 წლით უმცროსი და, ლია, ღირსეულ კონკურენციას უწევდნენ დედაქალაქელ უძლიერეს მოშაშეებს: მაია მოსიძეს, იამზე წივწივაძეს, მადონა შალამბერიძეს და სხვებს. ყოველივე ეს, უპირველესად, მათი მამისა და მასწავლებლის, ანზორ ყაზარაშვილისა და, ასევე, საქართველოში ცნობილი მწვრთნელისა და მსაჯის, ვლადიმერ კანდელაკის დამსახურება იყო.

ქალბატონი გიული სახალხო განათლების დარგის ამაგდარი პედაგოგია, როგორც რუსული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური სპეციალისტი. იგი 1984 წლიდან ასწავლის მოსწავლე-ახალგაზრდობას კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საშუალო (საჯარო) სკოლაში.

შაშის სიყვარული და პატივისცემა კი დღემდე შემორჩა. შვილიშვილები, ჯაბა ჯაბაური და მარიამ ბერიანიძე, პირადად აზიარა საყვარელი შაშის ანაბანას და მერე კი დას დაუმოწაფა, ის ხომ კვალიფიციური მწვრთნელი და დღემდე მოქმედი მოთამაშეა (ამასთან, ქ-ნი ლია კასპის სპორტდაწესებულებათა გაერთიანების მწვრთნელია). აკი, ჯაბა–ბიჭი 2018 წლის სექტემბერში პაპის ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალურ ტურნირშიც მონაწილეობდა.

ასეა, დები ყაზარაშვილები კვლავაც შაშის – ამ ჯადოსნური თამაშის – ულალატო მსახურებად რჩებიან, მამისეულ საქმეს აგრძელებენ და ახალთაობელ სპორტსმენებს აწ თვითონ მეგზურობენ.



### ქართული ჭიდაობა

13 ივლისი, სოფელი სამთავისი: ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი, პირველი ვიცეპრეზიდენტი ოთარ ყურაშვილი) ეგიდით გამართული ჭაბუკთა ასპარეზობა მიეძღვნა 1994 წლის საქართველოს აბსოლუტური ფალავნის – ვანო გამხიტაშვილის დაბადების 48-ე წლისთავს (13.07.1973 – 12.12.1999).

# საბავშვო ბაღები, ჩვენ და ... „კოვიდი"

**დასასრული.**

წევრთა დახმარებით. ნურავინ იტყვის, ასე ზღაპრებში ხდებაო! არა, ჩვენ ეს რეალურად განვახორციელეთ.

აი, ისინიც, ჩვენი საბავშვო ბაღის თავდაუზოგავი, საამაყო ქალბატონები: ნინო მოდებაძე, მაია უხურგუნაშვილი, ზეინაბ გრაკალიშვილი, ზეინაბ ბროლაძე, ზინა ქვრივიშვილი და ერთი ბატონი — დავით გრაკალიშვილი. მსურს, გულითადი მადლობა კვლავ და კვლავ გადავუხადო თითოეულ მათგანს! დიახ, როცა პედაგოგიურ კოლექტივში ასეთი ერთსულოვნება სუფევს, შეუძლებელი არაფერია!

სულ რაღაც სამ კვირაში დავასრულეთ მუშაობა და ეს სახლი მოვაწყეთ საბავშვო ბაღის პირობებზე. ამის თაობაზე, ცხადია, ვაცნობეთ ჩვენი გაერთიანების ხელმძღვანელობას და ისიც მოვახსენეთ, რომ მზად ვიყავით საბავშვო ბაღის კვლავ გასახსნელად.

ესოდენი კეთილი მისიით როცა გვესტუმრნენ კასპიდან ქალბატონები თეა ხორბალაძე, მანანა ხვთისიაშვილი, ხათუნა ტყემალაძე, მანანა მერებაშვილი და ბატონი თამაზ ტატანაშვილი, ისინი აღტაცებას ვერ ფარავდნენ და გაოცებულებს უკვირდათ ჩვენი ერთსულოვნება. ახლა მათ გადაგვიხადეს დიდი მადლობა.

მინდა, აქვე აღვნიშნო და პერსონალური მადლობა მოვახსენო ჩვენი სოფლის რწმუნებულს, ბატონ ტარიელ ოხანაშვილს — ჩვენს გვერდში დგომისათვის, გაწეული სამსახურისათვის.

დიახ, უკვე სამი წელია, გრაკლის საბავშვო ბაღი ამ სახლში ფუნქციონირებს. მაქვს პატივი, მადლობა ვუთხრა ჩვენი გაერთიანების დირექტორს მანანა ხვთისიაშვილს, რომლის ძალისხმევით შევძელით შენობაში არა მარტო წყლის გამაცხელებელი დანადგარის დამონტაჟება, არამედ ბევრი კარგი საქმის თავმობმა.

აი, ამის შემდეგ თითქოს უკეთესი რაღა უნდა გვდომებოდა, მაგრამ ჩვენი — სოფელ გრაკლის ბავშვებისა და მათი აღმზრდელი პედაგოგების — საერთო თავგადასავალს ნამდვილი გვირგვინი დაედგა:

2020 წელს ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ბაღების გაერთიანების გადაწყვეტილებით გადაწყდა სოფელ გრაკალში საბავშვო ბაგა-ბაღის ტიპიური შენობის აშენება, თანაც, ისეთისა, ევროსტანდარტების ფარგლებს რომ მოერგებოდა!

ახლა დიდი მადლიერების გრძნობით შეიძლება ხმამაღლა იმის თქმა, რომ ეს საშვილიშვილო საქმე უკვე რეალობას წარმოადგენს: სოფელ გრაკალში აშენდა ახალი, ახალი, ახალი საბავშვო ბაღი!

ჩვენთვის ნანატრი ბაღის მშენებლობა დასრულებულია, შიდა მოპირკეთების სამუშაოები მოთავებულია, მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობის ცალკეული სახის სამუშაოები, აქ მოეწყო გარეგანათება, დაირგო მწვანე ხემცენარეთა ნერგები, ნაირ-ნაირი გასართობი ატრაქციონებიც პატარებს მალე გაუხარებს გულს...

სკოლამდელი განათლება რომ უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვთა განვითარებისათვის, ამ პოსტულატის გამართლება ნათლად ვლინდება ჩვენი პატარა სოფლის კონკრეტულ მაგალითზე და ამაში გამოსჭვივის სახელმწიფოებრივი ხედვისა და მიდგომის რაციონალური მარცვალი: მომავალ თაობაზე ზრუნვა უპირველესი პრიორიტეტია!

# „მე მიყვარს თბილისი"

მიმდინარე წლის 4 ივლისს დავით ჯავრიშვილის და რევაზ ჭოხონელიძის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის ბავშვთა სახალხო, სახალხო-სანიმუშო, ვარსკვლავოსანი, ოსკაროსანი ცეკვის აკადემია „დიდგორი" (სამხატვრო ხელმძღვანელი ბრწყინვალების ორდენის კავალერი ქეთევან მონასელიძე, ამაგდარისა და დესპანის მედლის მფლობელი მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფი დარინა პაპაშვილი) სპეციალურად მიწვეული იყო საპროდიუსერო კომპანია „ჯადოსნური ხმების" საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის თამაზ ქაჯაიას მიერ ქ. თბილისის „არტ–ჰოლის" კულტურის სახლში,




საბავშვო-საყმაწვილო საქველმოქმედო ფესტივალზე „მე მიყვარს თბილისი".

„დიდგორს" დაევალა ფესტივალის გახსნა და დახურვა, რაც უდიდესი პასუხისმგებლობა იყო ანსამბლისათვის. მაყურებლის წინაშე ცეკვის აკადემია წარდგა ორი ცეკვით: „ქალთა ხორუმი" და „მთიელთა კაფია".

აღსანიშნავია, რომ ფესტივალში მონაწილეობდნენ ჩვენი მეზობლები: სომხეთისა და აზერბაიჯანის ქორეოგრაფიული ანსამბლები. მთლიანი კონცერტი ჩაიწერეს ტელეკომპანიებმა „ვარსკვლავები" და „stars. ge".

ფესტივალის წამყვანი გახლდათ ზაზა ალექსიძე. ცეკვის აკადემია „დიდგორი" ორგანიზატორების გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა გრან-პრით, სპეციალური საფესტივალო თასით წარწერით „დიდგორი".



ხელმძღვანელი და ქორეოგრაფები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და ოქროს მედლებით.

ყველა მოცეკვავემ მიიღო ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი აქტიური მონაწილეობისათვის.

საპროდიუსერო კომპანია „ჯადოსნურმა ხმებმა" ვაუჩერით დააჯილდოვა ცეკვის აკადემია „დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ვაუჩერი გადასცა ზურაბ კობეშავიძემ.

ფესტივალი დაიხურა ზურაბ კობეშავიძის სიმღერით. ფესტივალის ყველა მონაწილე ცეკვავდა სცენაზე.

# შავიზღვისპირული „გრანპრი"



მიმდინარე წლის 5-დან 11 ივლისამდე შავიზღვისპირა ქალაქებში — ბათუმსა და ქობულეთში ჩატარდა ხალხური შემოქმედების XXVIII რესპუბლიკური ფესტივალი „ჩემი ლამაზი ქვეყანა — ბათუმი — 2021".

ფესტივალი, ტრადიციისამებრ, იმართება საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის პატრონაჟით (კავშირის თავმჯდომარე სვეტლანა ჩოჩუა).

წლევანდელ ფესტივალში კასპის მუნიციპალიტეტიდან კვლავ მონაწილეობდა სოფელ აღაიანის სასოფლო კლუბთან




არსებული ხალხური საკრავების ანსამბლი „თხოთი" (ხელმძღვანელი თამაზ დურგლიშვილი) — გასული წლების ხსენებული ღონისძიების მრავალგზის გამარჯვებული და უმაღლესი ჯილდოების მფლობელი.

მისასალმებელია, რომ „თხოთის" ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლებმა და მათმა პედაგოგმა არც ამჯერად უღალატეს ჩვეულ შემოქმედებით წარმატებათა მაღალ დონეს — ქართლის ისტორიული სოფლის ბავშვთა ანსამბლი შეიქმნა 2021 წლის ფესტივალის უმაღლესი ჯილდოს — „გრან–პრის" მფლობელი!

თხოთელებო, გილოცავთ!

(ანსამბლის შესახებ ვრცელ პუბლიკაციას გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ).

# ტრადიციული თანამშრომლობა

კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლსა და გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს შორის, უკვე მრავალი წელია, რაც ტრადიციად დამკვიდრდა ურთიერთთანამშრომლობა.

მიმდინარე წლის 7 ივლისს მუზეუმში შეიკრიბნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი), მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა (პედაგოგი ნანა მერებაშვილი) და ლიტერატურის წრის (პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი) მოსწავლეები. პანდემიის პირობებში კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი) ონლაინ რეჟიმში ჩატარებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის სიგელები გადაეცათ მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეებს: საბა წინამძღვრიშვილს, მიხეილ სამხარაძეს, ნანა ილურიძეს, უჩა გოგოლაძეს, მაია თაბუაშვილს და ლიტერატურის წრის მოსწავლეებს: ბარბარე ჩარაევს, გიორგი და მარიამ ჟივიძეებს, ლუკა ჯავახიშვილს, გურამ ჟივიძეს, ნინო და შანშე ჩიტიშვილებს.



მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა მოსწავლეებს მიულოცა სასწავლო წლის დასრულება და გამოთქვა სურვილი მომავალში კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან აქტიურ თანამშრომლობაზე.

მოსწავლეებმა მშობლებთან ერთად დაათვალიერეს მუზეუმის მრავალფეროვანი ექსპოზიცია. ექსკურსიამძღოლმა ნელი ნიაზაშვილმა საინტერესოდ ისაუბრა დარბაზში გამოფენილ თითოეულ ექსპონატზე, ამომწურავად გასცა პასუხი პატარების მიერ დასმულ კითხვებს.

მშობლებმა ქეთევან რაზმაძემ და ეკა გოგოლაურმა მადლობა გადაუხადეს კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს ლალი ჯანჯალაშვილს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერს ლელა პეტრიაშვილს მოსწავლეთა წახალისებისა და პედაგოგების შრომის დაფასებისათვის, ასევე მუზეუმის დირექტორს გიორგი ჩადუნელს და თანამშრომლებს გულთბილი მიღებისა და თანამშრომლობისათვის.

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.**

## რა გაკეთდა წლიდან წლამდე

# [illegible] კვალდაკვალ



2019 წელს კასპის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ბევრი მაღალბიუჯეტიანი პროექტი განხორციელდა:

სპორტი

ქ. კასპში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა საფეხბურთო მოედანს და ფეხბურთის სკოლის შენობას. ევროპული სტანდარტების ფეხბურთის სტადიონი 520 მაყურებელზეა გათვლილი. მრავალი წლის განმავლობაში კასპს ფეხბურთის სტადიონი აღარ ჰქონდა, შესაბამისად აღარც ფეხბურთის გუნდი ჰყავდა. საფეხბურთო სკოლაში 240 მოსწავლე ვარჯიშობს, ბევრი აქ აღზრდილი დღეს საქართველოს წარმატებულ გუნდებში თამაშობს.

სასმელი წყალი

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თელიანში მოეწყო სასმელი წყლის სათავე ნაგებობები და სისტემა. სარგებელი მიიღო 300 ოჯახმა, სამუშაოს ღირებულება 1,289,000 ლარი. მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდების პირობები გაუუმჯობესდა.

სოფელ ხოვლეში სასმელი წყლის სათავე ნაგებობები და სისტემა მოეწყო. სარგებელი მიიღო 450 ოჯახმა, ღირებულება 507,108 ლარი. მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდების პირობები გაუუმჯობესდა.

გზები

კასპის მუნიციპალიტეტში რეაბილიტაცია - მოასფალტების სამუშაოები ჩაუტარდა სოფლების ვაკე-პანტიანის მისასვლელ ქვემოჭალასთან დამაკავშირებელ გზას. ორივე სოფელი არის მაღალმთიანი და გამყოფი ხაზისპირა. სარგებელი მიიღო 80 ოჯახმა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ გზაზე მოძრაობენ სხვადასხვა ქვეყნის და ორგანიზაციის მისიები, რომლებიც აკონტროლებენ არსებულ სიტუაციას. სამუშაოს ღირებულება 3,124,444 ლარი.



ქალაქ კასპში მოასფალტდა ბორჯომის ქუჩა ნატბეურას გავლით პაატას ქუჩის გადაკვეთამდე. სამუშაოს ღირებულებაა 1 652,390 ლარი. სარგებელი მიიღო 250 ოჯახმა. ათეული წლის განმავლობაში დაზიანებული გზა პრობლემებს უქმნიდა ფეხითმოსიარულე მოსახლეობასაც და ავტოტრანსპორტით მოსარგებლეებსაც.



სოფელ მეტეხი - ქვემო გომის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები:

მოასფალტდა 5,7 კილომეტრი გზა მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის, მეტეხის საჯარო სკოლის, მეტეხის დევნილთა დასახლების, ქვემო გომის ნათლისმცემლის ეკლესიის, ქვემო გომის საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის წინა ტერიტორიებზე.



სოფელ ქვემო გომის დაზიანებული გზა ადამიანებსა და ტრანსპორტს გადაადგილების მუდმივ დისკომფორტს უქმნიდა, კეთილმოწყობილმა გზამ პრობლემა სრულად აღმოფხვრა. გზაზე 2 962 869 ლარი დაიხარჯა.

ქ. კასპში ჩატარდა გრიშაშვილის ქუჩის სრული რეაბილიტაცია - გზის სიგრძე 500 მეტრი. მასზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 293 989 ლარი დაიხარჯა. გრიშაშვილის ქუჩა მიუვალი და მოუწესრიგებელი იყო, რომელიც გადაადგილების პრობლემას ქმნიდა. დაგებულია ასფალტი, მოწყობილია სანიაღვრეები, ლითონის ცხაურები, საგზაო ნიშნები, სიჩქარის შემზღუდველები, რომელიც ქუჩაზე უპრობლემო გადაადგილებას უზრუნველყოფს.






საკანალიზაციო სისტემა

ქალაქ კასპში შიდა საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები:

წლის განმავლობაში დაიხარჯა 3 124 444 ლარი და გაგრძელდება მანამ, ვიდრე ყველა მოსახლე არ იქნება ამ სერვისით უზრუნველყოფილი.

სასოფლო ამბულატორია

კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების: ალაიანის, ახალციხის, ახალქალაქის, დოესის, იგოეთის და ოკმის ამბულატორიების სარემონტო სამუშაოებზე 122421 ლარი დაიხარჯა. მომსახურე სამედიცინო პერსონალს შეექმნა მუშაობის, პაციენტთა მომსახურების უკეთესი პირობები.

სკოლები

ქალაქ კასპის მე-2, სოფელ ზემო ხანდაკის, ახალქალაქის, იგოეთის და სასირეთის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა. დაიხარჯა 506 162 ლარი.

გარეგანათება

კასპის მუნიციპალიტეტში შესრულდა 244 280 ლარის გარეგანათების მოწყობის სამუშაოები.

საბავშვო ბაღები

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ დოესის საბავშვო ბაღს, სამუშაოების ღირებულება 333 278 ლარია.



დასასრული.

მუნიციპალიტეტში ჩატარდა 300 000 ლარის გარეგანათების სამუშაოები.

გაზიფიცირება

გაზიფიცირდა 8 სოფელი.

ბუნებრივი აირის მიწოდებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები ყოველწლიურად უმჯობესდება.



სკვერი

სოფელ ზემო ხანდაკში მოეწყო აფხაზეთის ომში დაღუპული, კასპის ყოფილი გამგებლის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სკვერი.

ირიგაცია

წლის განმავლობაში საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 8 225 656 ლარი.

მუზეუმები

სოფელ ხოვლეში აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის ტერიტორია შემოიღობა. აღსანიშნავია, რომ მუზეუმს ჰყავს ბევრი დამთვალიერებელი, მათ შორის უცხოელი ტურისტიც.





## გილოცავთ!



ქალბატონ იზაბელა კობიაშვილს ვულოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს!

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას!.

კასპის №1 საჯარო სკოლა.

საყვარელ ბელა კობიაშვილს ვულოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს!

ბელა, იყავი ჩვეულად ენერგიული, ხალისიანი, მეგობრებზე მზრუნველი და სიცოცხლით სავსე!

მეგობრები.

ძვირფას შალვა წერეთელს ვულოცავ საიუბილეო დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, წინსვლას, მრავალჟამიერ!

ნანი ღვინიაშვილი (ყოფილი კლასის დამრიგებელი).

## შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ პოზიციებზე:

1. შემფუთველი მანქანისა და პალეტაიზერის ოპერატორი;
2. ჩანგლიანი ავტომტვირთავის მძღოლი:
3. ლენტური კონვეიერის ოპერატორი (სასურველია ჰქონდეს ზეინკალ-შემკეთებლად მუშაობის გამოცდილება);
4. მტვირის საწმენდი მანქანის მძღოლი.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი რეზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 5 აგვისტოს ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

გაზეთი ,,ახალი განთიადი,, ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სსიპ ქალაქ კასპის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

ოლია მახარაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სსიპ ქალაქ კასპის №1 საჯარო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სსიპ ქალაქ კასპის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

ოლია მახარაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კასპის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

ოლია მახარაძე

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს და სკოლას.



## ყაზბეგის ქუჩის მოასფალტება

კასპში ასფალტის პირველი პირის დაგება ყაზბეგის ქუჩაზეც დაიწყო.

გზის რეაბილიტაციის გადაწყვეტილება მერიამ მიიღო - აღნიშნული დაზიანებული ქუჩა, მოძრაობას აფერხებდა და მოსახლეობისთვის არაკომფორტული იყო.

ყაზბეგის ქუჩაზე ასფალტი არასოდეს ყოფილა, სამუშაოების დასრულების შემდეგ ქუჩა უსაფრთხოც იქნება და გადაადგილებისათვის კომფორტულიც - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა. ვახტანგ მაისურაძემ.

ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოებს შპს "დინგრუპი" ახორციელებს, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება (106 728 ლარი).



## დასასვენებელი სკვერი მიკრორაიონის დასახლებას

კასპს მალე კიდევ ერთი დასასვენებელი სივრცე შეემატება. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის - მიკრორაიონის დასახლებაში დასასვენებელი სკვერის მოწყობასთან დაკავშირებით, მშენებელთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესი მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს 2091,8 კვადრატულ მეტრზე დასასვენებელი სივრცის მოწყობას, სადაც განთავსდება დასაჯდომი სკამები, საფეხმავლოები, საბავშვო ატრაქციონები, ღამის ლამპიონები, 2 სასმელი წყლის ონკანი და დაირგვება ხეები.

მწვანე და გასართობი სივრცე აუცილებელია როგორც ქალაქისთვის, ისე სოფლისთვის. წელს, ფინანსებიდან გამომდინარე, დავგეგმეთ მიკრორაიონში, სოფელ ხოვლესა და თელიანში გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სკვერების მოწყობა. მომავალ წელს კი სხვა ლოკაციებსა და სოფლებში გავაგრძელებთ დასასვენებელი სივრცეების მოწყობას - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

## წულუკიძის ქუჩაზე

კასპში გურამიშვილის და ყაზბეგის ქუჩების პარალელურად წულუკიძის ქუჩის მოასფალტებაც მიმდინარეობს.

ასფალტის პირველი ფენის დაგების პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე ესწრებოდა.



წულუკიძის ქუჩის მოასფალტება რეგიონალური განვითარების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 128 626 ლარის ფარგლებში ხორციელდება.

პროექტით დაგეგმილ სამუშაოებს შპს "დინგრუპი" აწარმოებს.

ქუჩა კასპის ძველ უბანში მდებარეობს, მასზე განთავსებულია მოხუცთა სახლი, "ენერგოპროჯორჯია"-ს კასპის ოფისი. შესაბამისად, ქუჩის მაცხოვრებლების გარდა გადაადგილება მრავალ ადამიანს და სატრანსპორტო ერთეულს უწევს.

2021 წელს ქალაქში 11 ქუჩის რეაბილიტაცია განხორციელდება.

ქუჩების კეთილმოწყობა მნიშვნელოვანია, მოძრაობა გახდება უსაფრთხო და კომფორტული.

## დაზიანებული ადგილების აღდგენა

კასპში სააკაძის ქუჩის დაზიანებული ადგილების აღდგენა - მოასფალტების სამუშაო ჩატარდა.

გზის რეაბილიტაცია გზების მოვლა-პატრონობის ფარგლებში შპს "საგზაო-სამშენებლო სამმართველო №1"-მა განახორციელა.

აღნიშნული გზა შიდასახელმწიფო გზაა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზეა.



## ფოტო-მატიანე

რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - გამოგვიგზავნეთ წინაპრების ცხოვრების ამსახველი სურათები და სხვადასხვა ფოტოები! ერთად გავიხსენოთ, როგორ ვცხოვრობდით ...

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76